



MES 8 22 0001283762



12/10/2022

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 03/10/2022

სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 18:38 სთ

სხდომის თავმჯდომარე - კახაბერ ფარცვანია

საბჭოს მდივანი - ანა საბახტარაშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე პირები

### საბჭოს წევრები:

1. კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, სხდომის თავმჯდომარე;
2. გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
3. ანა საბახტარაშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
4. არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი.
5. გიორგი ტრაპაიძე-სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მზია ყანჩელი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;

გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

მარი მგელაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“**

1. ვახტანგ აბაიშვილი-სკოლის დირექტორი;
2. დავით ჯანიაშვილი-სკოლის იურისტი.

**შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია**

1. ეკა ზაქარეიშვილი-სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
2. არჩილ კაიკაციშვილი-სკოლის იურისტი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტი):**

**შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“**

1. მიხეილ ტეფნაძე-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ნანა მონიავა-ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

**შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია**

1. გულნარა ხაბურზანია-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. მაკა ტუკვაძე-ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) წევრები:**

1. დავით მალაზონია-საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზვიად გოგუაძე-საბჭოს წევრი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სააპელაციო საბჭოს სხდომა იმართებოდა დისტანციურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საბჭოს სხდომა იყო საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართვა.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრულმა საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### **სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი;
2. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**  
არა.

### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი;
1. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი;

### **1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი**

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების იურისტმა, დავით ჯანიაშვილმა განმარტა, რომ დირექტორის მინდობილობის საფუძველზე, სკოლის პოზიციას წარმოადგენდა ის და სკოლის წარმომადგენელი, ლიანა ჩარკვიანი. დავით ჯანიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებდა მრავალი წლის განმავლობაში. მისი თქმით, სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით

მოღვაწეობდნენ სხვადასხვა სფეროში. იურისტის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა გარკვეული ხარვეზების არსებობას სკოლაში და აღიარებდა, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა ის დოკუმენტაცია ექსპერტებთან, რითაც დადასტურდებოდა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. დავით ჯანიაშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში მოწესრიგდა, არ იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს. სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ მოსწავლეებისათვის სტრესული აღმოჩნდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემდეგ, სხვა სკოლებში გადასვლა და ადაპტაცია. მისი თქმით, მოცემულ ეტაპზე დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი და მზად იყო სასწავლო პროცესის გაგრძელებისათვის.

სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ სკოლაში არსებული რიგი ხარვეზები დაწესებულებამ გამოასწორა, თუმცა გარკვეული ხარვეზების გამოსწორება დროის მოკლე პერიოდში ვერ მოხერხდა. მისი თქმით, მკაფიო ხარვეზი სკოლას ადამიანური რესურსების მიმართულებით უფიქსირდებოდა, რის აღმოსაფხვრელად სკოლას მუშაობდა დაწყებული ჰქონდა. მისი თქმით, დაწესებულება თავის საქმიანობით ხელს უწყობდა წარმატებული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სკოლის პირველი სართული არ გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვის, გამომდინარე იქედან, რომ პირველ სართულზე არსებული საკლასო ოთახებს დაწესებულება საწყობად იყენებდა. მან კითხვით, მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი სკოლამ და გამოიყენებოდა თუ არა სკოლის პირველი სართული სასწავლო მიზნებისათვის. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა ლიანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ პირველ სართულზე განთავსებული საკლასო ოთახები ამ ეტაპზე მოწესრიგებული იყო, თუმცა სასწავლო მიზნებისთვის სკოლა სარგებლობდა მხოლოდ მეორე სართულის საკლასო ოთახებით, მოსწავლეთა არსებული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი, რომელთან დაკავშირებით გაცემული ხარვეზები სკოლამ გაითვალისწინა. ლიანა ჩარკვიანმა ასევე, განაცხადა, რომ სკოლაში მოწყობილი იყო ადაპტირებული გარემო.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, გამოსწორდა თუ არა ხარვეზი დაწესებულებაში არსებულ კომპიუტერულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით და ფლობდა თუ არა აღნიშნული ლაბორატორია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამის კომპიუტერებს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ლაბორატორიაში ფუნქციონირებდა 23 კომპიუტერი, ასევე, გამოსწორდა და ფუნქციონირებდა დაწესებულების ვებ-გვერდიც.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი მოსწავლეთა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, განემარტათ, რამდენად გამოასწორა სკოლამ შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული ხარვეზი სკოლამ გამოასწორა. შეფასების ახალი სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ გეგმას და დამტკიცებული იყო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:30 საათი

დასრულების დრო: 16:35 საათი

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ, კითხვით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დაეზუსტებინათ, თუ რატომ არ ჩათვალა ავტორიზაციის საბჭომ მიზანშეწონილად დაწესებულებისათვის მიენიჭებინა ავტორიზაცია და განესაზღვრა ვადა მონიტორინგის მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ განმარტა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა სამივე სტანდარტთან მიმართებით შეუსაბამობები. საბჭოს წევრების შეფასებით, დაწესებულებამ ვერ დაადასტურა, აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მზაობა, რაც საფუძველს მისცემდა საბჭოს წევრებს სკოლისთვის დადებითი გადაწყვეტილება მიეღო, მათ შორის შესაბამისი მონიტორინგის დათქმით. საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ დასძინა, რომ საბჭოს წევრებს არ მიეცათ შესაძლებლობა, დაწესებულების დირექტორის მხრიდან დაზუსტებით მოესმინათ თუ რის გამოსწორებას აპირებდა სკოლა, რა ვადაში და რა რესურსით. მისი თქმით, დაწესებულებამ ვერ განმარტა სკოლის პოზიცია ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით. ასევე, არ იქნა წარმოდგენილი სკოლის სამომავლო ხედვა და შესაბამისი გეგმა დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, მონიტორინგის 60 დღიან ვადაში, რამდენად შესაძლებელი იყო სკოლის მიერ ხარვეზების გამოსწორება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ სკოლის ძირითადი დარღვევები ვლინდებოდა ადამიანურ რესურსებთან და სკოლაში არსებულ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. მიხეილ ტეფნაძის თქმით, დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა მაშინ, როდესაც სკოლა წინასწარ ინფორმირებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შესახებ.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ გაიზიარა მიხეილ ტეფნაძის მოსაზრება. მან აქვე დაძინა, რომ მისი შეფასებით, სკოლის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ გააზრებული ექსპერტების მხრიდან მითითებული პრობლემები და შეუსაბამობები, რაც არსებობდა დაწესებულებაში. ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლას უნდა შეეცვალა ხედვა და ორიენტირებული ყოფილიყო არსებული პრობლემების გამოსწორებაზე და შემდგომ განვითარებაზე.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები, თუმცა სკოლამ გამოასწორა ისინი და შესაბამისად, მზად იყვნენ განეახლებინათ სასწავლო პროცესი. მან, ასევე, ხაზი გაუსვა მოსწავლეების ინტერესებს და აღნიშნა, რომ მოსწავლეებისათვის სხვა სკოლაში გადასვლა სირთულეს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ტრაპაიძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რატომ ვერ დაინახა ავტორიზაციის საბჭომ სკოლის მზაობა და რატომ არ გადაწყვიტა მიეცა დაწესებულებისათვის შანსი მონიტორინგის საშუალებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა დავით ჯანიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, ცალკეულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები არ იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, ხოლო მათ ვინც ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან იმყოფებოდნენ, ვერ მოახერხეს შესაბამისი პასუხების გაცემა და დოკუმენტაციის წარმოდგენა. დავით ჯანიაშვილის თქმით, სკოლის წარმომადგენლებს, საბჭოს სხდომაზე, ავტორიზაციის საკითხის განხილვის პროცესში დააკლდათ დამაჯერებლობა და, ასევე, ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორებიც იყო ავტორიზაციის პროცესი და საქართველოს კანონმდებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:05 საათი

დასრულების დრო: 17:19 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ იქნას შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს (ს/კ: 216305200) ავტორიზაციის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ, განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ დაწესებულებაში გარკვეული საკითხები შეიცვალა და გამოსწორდა. შესაბამისად, სააპელაციო საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევდა, კიდევ ერთხელ მიეცა დაწესებულებისთვის შესაძლებლობა საკუთარი პოზიცია სრულყოფილად წარედგინა ავტორიზაციის საბჭოზე და საბჭოს წევრებს, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ხელმეორედ ემსჯელათ სკოლის ავტორიზაციის საკითხზე.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებისათვის გადაწყვეტილების მიღება რთული აღმოჩნდა. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ავტორიზაციის სხდომაზე მათ საკუთარი პოზიცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ ძლიერი არგუმენტებით გაემყარებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ მიიღებდნენ ავტორიზაციას.

## **2. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის სააპელაციო საჩივრის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სკოლის იურისტმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, რომ ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება იყო მრავალი. 2022 წლის 10 და 11 მაისს შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში

განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, კომუნიკაცია სკოლასა და ექსპერტებს შორის იყო ურთიერთთანამშრომლობითი. შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და აღნიშნული პირები არ იყვნენ წინასწარ, გამიზნულად შერჩეულები დაწესებულების მიერ. არჩილ კაიკაციშვილის თქმით, 2022 წლის 26 ივლისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომას მოგვიანებით შეუერთდა შპს იოანე პეტრიჩის სახელობის სკოლა იბერიის წარმომადგენელი, შესაბამისად, მას არ მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად წარმოედგინა სკოლის პოზიცია. სკოლა საბჭოს სხდომის შესახებ არ იყო სათანადო ფორმით ინფორმირებული. სკოლის იურისტის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მან ჩაატარა შეხვედრები სკოლის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან, ასევე, გაეცნო ყველა დოკუმენტაციას. მისი თქმით, მოცემულ ეტაპზე დაწესებულებაში არსებული ყველა ხარვეზი გამოსწორებული იყო. ასევე, სკოლამ ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. კერძოდ, იურისტის განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა შემდეგი რეკომენდაციები: სასკოლო სასწავლო გეგმა და საათობრივი ბადა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში, რადგან დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნების საათობრივი დატვირთვა და ცხრილი არ ემთხვეოდა სასკოლო სასწავლო გეგმის აღწერილობას. სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება მოხდა ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 21 პუნქტი 6-ის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ დირექტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სკოლა ხელმძღვანელობდა ძველი შინაგანაწესით. დირექტორის სკოლაში დაბრუნების შემდგომ კი დამტკიცდა ახალი შინაგანაწესი. სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სსსმ მოსწავლის განმარტება მოიყვანა შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის 41-ე მუხლის მე-2-ე პუნქტთან. არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ გამოასწორა ხარვეზი მატერიალური რესურსების მიმართულებით და №2 სასწავლო კორპუსში არსებული ბადის ფართი გამიჯნა სკოლის ფართისაგან. ასევე, დაწესებულებამ მოაწესრიგა სპორტული მოედანი, შეაკეთა კალათბურთის ფარები. დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის ვებ-გვერდზე სკოლის სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების, სიახლეებისა და განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალების განახლება. სკოლის იურისტის განმარტებით, მათ ასევე, გამოასწორეს ხარვეზი ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, და შეიმუშავეს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი. პერსონალის პირადი საქმე კი მოწესრიგდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ სკოლაში ვიზიტისას ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას სპორტული მოედნის საფარი და კალათბურთის ფარები მოეყვანათ წესრიგში. სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინა და წესრიგში მოყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რატომ ახდევინებდა დაწესებულება დისციპლინურ სახდელს მოსწავლეს აკადემიური ჩამორჩენისას და ასევე, რატომ იყენებდა სკოლა ძველ ეროვნულ სასწავლო გეგმას და არ მუშაობდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ეკა ჩერქეზიშვილმა განმარტა, რომ მათ დაწყებული ჰქონდათ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით მუშაობა. მისი თქმით, მასწავლებლებს სექტემბრიდან უნდა დაეწყოთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა. ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლაში ტარდებოდა შიდა ტრენინგები, ამავედროულად, დაწესებულებას უნდა მოეწვია საგნობრივი ექსპერტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ტრენინგების ჩატარების მიზნით. ეკა ჩერქეზიშვილმა განმარტა, რომ სკოლის შინაგანაწესი დისციპლინურ სახდელს აკადემიური ჩამორჩენის დროს არ ითვალისწინებდა.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რაში მდგომარეობდა სკოლაში არსებული ხარვეზი სივრცეების გამიჯვნის შესახებ და რა მდგომარეობა იყო ახლა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაწესებულების შენობაში განთავსებული იყო ორი ფლიგელი. პირველ ფლიგელში ფუნქციონირებდა სკოლა, ხოლო მეორე ფლიგელში კი საბავშვო ბაღი. აღნიშნული სივრცეები ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. რეკომენდაციის საფუძველზე კი დაწესებულებამ სივრცეები ერთმანეთისაგან გამიჯნა.

ექსპერტმა, მკვა ტუკვაძემ განაცხადა, რომ სკოლა ფლობდა ორ კორპუსსა და ეზოს. პირველ შენობაში ფუნქციონირებდა საკლასო ოთახები, ხოლო მეორე შენობაში მდებარეობდა სამედიცინო კაბინეტი, მუსიკის ოთახი, ბიბლიოთეკა და რამდენიმე საკლასო ოთახი. პანდემიისას მოსწავლეების რაოდენობის შემცირების გამო სკოლამ ამ ფართში განათავსა ბაღი. აღნიშნული ინფორმაცია არ იყო ასახული საჯარო რეესტრსა და იჯარის ხელშეკრულებაში. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ იქნა წარმოდგენილი მხოლოდ ნახაზით გამიჯვნა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ მისასაღმებელი იყო სკოლის მზაობა და ჩართულობა ხარვეზების გამოსწორების მიზნით. მან რჩევა მისცა სკოლის იურისტს და განაცხადა, რომ მხოლოდ დოკუმენტაციის გამოსწორება არ იქნებოდა საკმარისი. აღნიშნული უნდა დანერგილიყო სასწავლო პროცესში.

სკოლის წარმომადგენელმა, ეკა ჩერქეზიშვილმა დაადასტურა, რომ სკოლაში არსებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ის მოხარული იქნებოდა, თუკი დაწესებულება გააგრძელებდა ფუნქციონირებას. მან წარმატებები უსურვა სკოლას.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

დაწყების დრო: 18:22 საათი

დასრულების დრო: 18:33 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ იქნას შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას (ს/კ:211358449) ავტორიზაციის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე



წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაბრუნებოდა სკოლის ავტორიზაციის საკითხი. სკოლის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს სააპელაციო საბჭოს წევრებს.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ფარცვანია კახაბერ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

